დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

თაფისუფალი პედაგოგიკის ცენტრი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 26-27 ივლისი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 16.08.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ა(ა)იპ
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204892704

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	ვაჟა-ფშაველას მე-7 კვ. კორპ. 15, ბინა 49
ფაქტობრივი მისამართი	მ. ლებანიძის ქ (ბორჯომის ქ.) 10
საფოსტო ინდექსი	0112
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.cfp.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	cfp.shostak@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	0322347621
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	მარინე შოსტაკ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ტელეფონის ნომერი/ფაქსი	+995599564721
ელ-ფოსტა	cfp.shostak@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 0 21 0000723596, 19/07/2021 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრში ვიზიტის შესახებ
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	26-27 ივლისი, 2021 წელი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	მაია ინასარიძე
წევრი (სახელი, გვარი)	ნინო გვარამაძე

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☐	☒
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	*სკოლამ ვერ წარმოგვიდგინა საავტორიზაციო განაცხადში მითითებული მოსწავლთა ზღვრული რაოდენობის, 100 მოსწავლისათვის, საჭირო მერხების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.*
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	*ერთმანეთს არ ემთხვევა სკოლის მიერ წარმოდგენილი დღის რეჟიმი და გაკვეთილების ცხრილი. როგორც სკოლის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუში გაირკვა, წარმოდგენილი დღის რეჟიმი შემუშავებულია პანდემიის პირობების გათვალისწინებით, თუმცა ასევე უნდა იყოს ამ პირობებთან მისადაგებული გაკვეთილების შეცვლილი ცხრილიც.*
	1.2.	*სასკოლო სასწავლო გეგმის ერთიან დოკუმენტად აღქმისათვის საჭიროა საქაღალდეში მოქცეული ყველა დოკუმენტის თავმოყრა და ერთიან ნარატიულ / აღწერით სტრუქტურირებულ ფორმაში მოქცევა.*
	1.4	*გასაახლებელია შეფასების პრინციპების დოკუმენტი. სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ესგ-ს მოთხოვნები (ესგ, მუხლი 43.).*
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	• *სკოლამ იზრუნოს მეცხრე საკლასო ოთახისათვის ფართის გამოყოფაზე.* • *გადააგზავნოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა.*
	2.2.	
	2.8.	*ერთწლიანი გეგმა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ექვსწლიან გეგმასთან.*
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავ* *გეგმით განსაზღვრული სასწავ* *პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურ*	*ერთი და იგივე ტერმინი (დირექტორის მოადგილე ან მენეჯერი) იქნას გამოყენებული ყველა დოკუმენტში (საშტატო განრიგი, ხელშეკრულება, დებულება)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	3.2. სკოლის მასწავლებლები შერჩეულ *არიან ,,ზოგადი განათლების შესახ* *საქართველოს კანონისა და ეროვნულ* *სასწავლო გეგმის მოთხოვნებ* *შესაბამისად*	*სკოლამ შეუწყოს ხელი მასწავლებლებს დროულად* *ჩააბარონ სპეცმასწავლებლებისთვის* *გათვალისწინებული გამოცდა.*
	3.3 სკოლაში შემუშავებულია *თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და* *გათავისუფლების წესები, ასევე* *წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალ* *სისტემა.*	*პირად საქმეებში ჩაიდოს წახალისების* *დამადასტურებელი დოკუმენტები (თანახმად* *შინაგანაწესისა, მუხლი 27, 3)*
	3.4. მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ *ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა* *თანამშრომლებთან გაფორმებულია* *ხელშეკრულებები.*	*გასწორდეს უზუსტობები ხელშეკრულებებში.* *მიეთითოს ხელშეკრულებაში, რომ შინაგანაწესი არის* *ამ ხელშეკრულების ნაწილი (იქ არის შვებულების* *პირობები გაწერილი); ამოღებულ იქნას დამლაგებლის* *ხელშეკრულებიდან 2.4 მუხლის მესამე პუნქტი;* *მასწავლებლისა და ადმინისტრაციის წევრების* *ხელშეკრულებებში განიმარტოს, რა შემთხვევებში აქვს* *დამსაქმებელს უფლება შეასრულოს შემდეგი:* *„დამსაქმებელს უფლება აქვს არ აუნაზღაუროს* *დასაქმებულს შვებულების, არდადეგების,* *დეკრეტული შვებულების და ავადმყოფობის* *პერიოდში გაცდენილი საათების ღირებულება.“*

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლას აქვს მძიმე და/ან ძალიან მძიმე ინტელექტუალური დარღვევის ან მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების მისია	ფიზიკური და ინტელექტუალური პრობლემების მქონე ბავშვებისა და მოზარდების განათლების, აღზრდისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების და ხელმისაწვდომი, მყუდრო გარემოს შექმნა. კორექციული მუშაობა სსსმ მოსწავლეებთან და მათთვის საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრების საჭირო უნარების განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	ასეთი არ ყოფილა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ექსპერტი ეთანხმება ☐	*აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☒	სკოლამ ვერ წარმოგვიდგინა 100 მოსწავლისათვის საჭირო მერხების რაოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვიზუალური დათვალიერებით კლასებში 26 ორადგილიანი და 12 ერთადგილიანი მერხია, ერთიც ერთადგილიანი ადაპტირებული მერხი და 100 სკამი, რომელთა შორის 11-ია სტანდარტული. სკოლამ წარმოადგინა 5 ერთადგილიანი მერხისა და ამავე რაოდენობის სკამების შეძენის დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადები.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	განმარტებისათვის უნდა ითქვას, რომ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ერთ-ერთი პროექტია სამკურნალო-პედაგოგიური სკოლა და იგი განკუთვნილია ფიზიკური და ინტელექტუალური პრობლემების მქონე ბავშვებისთვის. სკოლა დაფუძნდა 1994 წელს. მას გააჩნია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ლიცენზია, იგი ავტორიზირებულია როგორც დაწყებითი და საბაზო საფეხურების მქონე სკოლა (1-9 კლასები) 2011 და 2016 წლებში. წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლის მისია ამგვარად არის ფორმულირებული: *„ფიზიკური და ინტელექტუალური პრობლემების მქონე ბავშვებისა და მოზარდების განათლების, აღზრდისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების და ხელმისაწვდომი, მყუდრო გარემოს შექმნა. კორექციული მუშაობა სსსმ მოსწავლეებთან და მათთვის საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრების საჭირო უნარების განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა.“* უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში სკოლის მისია განსხვავებულად არის წარმოდგენილი. ბენეფიციარებად ბავშვებისა და მოზარდების გარდა, დასახელებული არიან ახალგაზრდები, რაც საავტორიზაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტში მართებულად არის შესწორებული. სკოლის მიზნებია: • განვითარების პრობლემების მქონე ბავშვებისა და მოზარდების განათლება სასკოლო სასწავლო გეგმისა და მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად. • თერაპიული დახმარების გამოყენება, მაკორექტირებელი სამუშაოების ჩატარება, თითოეული ბავშვის ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით. • ბავშვებს და მოზარდებისთვის შრომითი და პროფესიული უნარ-ჩვევების დასწავლა, რაც აუცილებელია საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრაციისთვის. • ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით, ინტელექტუალური განვითარების პრობლემების მქონე ახალგაზრდების მათი ნაწილობრივი ან მთლიანად დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მაქსიმალურად მომზადება. • ხელოვნების გამოყენება ბავშვებში შემოქმედებითი უნარების და შესაძლებლობების განვითარებისთვის და მათთვის კულტურის გაცნობის მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასკოლო სასწავლო გეგმა არ არის ისე სტრუქტურირებული, რომ იძლეოდეს ერთიანობაში აღქმის შესაძლებლობას. სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოდგენილია საქაღალდის სახით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რომელშიც თავმოყრილია რამდენიმე დოკუმენტი, კერძოდ, გარდა მისიისა და მიზნების დოკუმენტისა, აქ არის სასწავლო წლის კალენდარი, საათობრივი ბადე, შეფასების სისტემის შესახებ პედაგოგიური კოლეგიის სხდომის ოქმის ამონაწერი, რომელიც 2010 წლით არის დათარიღებული და შესაბამისობაშია მოსაყვანი მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ასევე საქაღალდეში არის მოსწავლის შეფასების ფორმა, რომელიც თვით სკოლის მიერაა შემუშავებული და შეესაბამება სკოლის სპეციფიკას; საქაღალდეში არის საშტატო განრიგი, სახელმძღვანელოების ნუსხა, დღის რეჟიმი, გაკვეთილების ცხრილი და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების ჩამონათვალისა და სამკურნალო პედაგოგიური სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების შედარებითი ცხრილი. უნდა ითქვას, რომ შედარების ცხრილში მცირე ტექნიკური ხარვეზია, მესამე კლასში გამორჩენილია საგანი მათემატიკა. საგანთა ჩამონათვალში მეექვსე კლასში, განსხვავებით ესგ-გან, არის ფიზიკა. როგორც სკოლის წარმომადგენელმა აგვიხსნა, ეს არის ფიზიკის ერთგვარი პრაქტიკული კურსი, რომელიც ელემენტარულ საყოფაცხოვრებო დონეზე ითვალისწინებს ამ საგნის სწავლებას. ვფიქრობთ, საგნის ადაპტირებული შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია საგნისათვის სხვა სახელწოდების მოფიქრება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ერთმანეთს არ ემთხვევა სკოლის მიერ წარმოდგენილი დღის რეჟიმი და გაკვეთილების ცხრილი. როგორც სკოლის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუში გაირკვა, წარმოდგენილი დღის რეჟიმი შემუშავებულია პანდემიის პირობების გათვალისწინებით, თუმცა ასევე უნდა იყოს ამ პირობებთან მისადაგებული გაკვეთილების შეცვლილი ცხრილიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო სასწავლო გეგმა (საქაღალდე)
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 45 მოსწავლე, რომელთაგან ყველა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისაა: მეტყველების, ქცევითი და ემოციური დარღვევებით, დაუნის სინდრომიანი, ცერემბრალური დამბლით, აუტიზმის მძიმე ფორმით, გონებრივი შეზღუდვითა და სხვა სერიოზული დარღვევებით. ყველა მოსწავლეს აქვს შესაბამისი სამედიცინო დასკვნა. 45 მოსწავლე გადანაწილებული რვა კლასში. ერთი კლასი (მეოთხე) დაიხურა მოსწავლის სკოლიდან გადასვლის გამო. მოსწავლეთა კონტინგენტიდან გამომდინარე, თითოეულისათვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მძიმე და/ან ძალიან მძიმე ინტელექტუალური დარღვევის ან მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო მიზნებისა და შედეგების რადიკალურ ცვლილებას, ორიენტირებულია მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ადაპტირებული სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებით ფოკუსირებულია შედეგზე. სამკურნალო-პედაგოგიური სკოლის პროგრამა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. სწავლება სკოლაში ხორციელდება ვალდორფის სკოლის პროგრამით, რომელიც ადაპტირებულია განვითარებაში პრობლემების მქონე შესაძლებლობების ბავშვებისათვის. სწავლებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვთარებას, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ისეთი საგნების სწავლებაზე, როგორებიცაა: ა) ხელოვნება (ფერწერა, თეატრი, თოჯინების თეატრი, მუსიკა, გუნდი). ბ) შრომით სწავლება (ხელგარჯილობა, ქარგვა, თექა, ქსოვა, კერვა, მოზაიკა, ხეზე მუშაობა). სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს თერაპიული მხარდაჭერა: მასაჟი, სამკურნალო ევრითმია, არტთერაპია, სენსომოტორული თერაპია, იპოთერაპია, ლოგოპედიური და ფსიქოლოგიური მუშაობა. ბავშვებთან მუშაობის დროს ხორციელდება ინდივიდუალური მიდგომა. შეცვლილია საათობრივი ბადეც, რაც განპირობებულია ბავშვთა საჭიროებებით. გაზრდილია ხელგარჯილობის, შრომის საათების რაოდენობა, გამოყოფილია საათები სოციალური ადაპტაციისთვის. კვირეული დატვირთვა კლასების მიხედვით 22 საათიდან 33 საათამდეა. საათები შემცირებულია ძირითადი საგნების ხარჯზე, დანარჩენი კვირეული საათები ეთმობა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, რომელიც მოსწავლეებს სთავაზობს ხელგარჯილობას, ევრითმიას, სოციალურ ადაპტაციას, ფორმებით ხატვას, მხარეთმცოდნეობას. სკოლა იცავს ესგ-ის მოთხოვნებს მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ალტერნატიული მიზნების შეტანასთან დაკავშირებით და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში აქცენტს აკეთებს ისეთ მიზანზე, როგორიცაა ყოველდღიური სასიცოცხლო ფუნქციური უნარ-ჩვევების გამომუშავება. რეკომენდაციის სახით უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად სკოლის სპეციფიკისა, სასკოლო სასწავლო გეგმის ერთიან დოკუმენტად აღქმისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა საქაღალდეში მოქცეული ყველა დოკუმენტის თავმოყრა და ერთიან ნარატიულ / აღწერით სტრუქტურირებულ ფორმაში მოქცევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო სასწავლო გეგმა (საქაღალდე), ვალდორფის სკოლის პროგრამა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის წერილი MES 0 16 0l183254, 04.10.2016
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლას აქვს ადაპტირებული, ასევე ინდივიდუალური პროგრამები, რომლებიც შედგენილია ცალკეული ბავშვის ინტელექტუალური, ფსიქოლოგიური და დიაგნოსტიკური თავისებურებებიდან გამომდინარე და თანაბარ პირობებს უქმნის სხვადასხვა პრობლემების მქონე მოსწავლეებს აკადემიური და საყოფაცხოვრებო უნარების განვითარებისთვის. მასალებში წარმოდგენილია მოსწავლის ინდივიდუალური გეგმის ნიმუში, კალენდარული გეგმის ნიმუში, კვირის სამუშაო გეგმის ფორმა, მოსწავლის განვითარების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დინამიკის დაკვირვების ცხრილი, შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმა. ვიზიტის პროცესში ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე სკოლამ წარმოგვიდგინა ამ ფორმების შევსებული ვარიანტები. აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება მოსწავლეების პორტფოლიოებში. დებულების შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს პედაგოგიური კოლეგია, ინტერკოლეგია და თერაპიული კოლეგია. მასწავლებლებთან ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ როგორც ცალკეული მოსწავლის, ისე მთელი კლასის პრობლემებზე და ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე მსჯელობა სკოლის ყოველკვირეული პრაქტიკაა. ამისათვის ყოველ ორშაბათს იმართება მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები, ყოველ სამშაბათს - ინტერკოლეგია, ხოლო ყოველ ხუთშაბათს - პედაგოგიური კოლეგია, ასევე კვირაში ერთხელ იკრიბება თერაპევტების კოლეგია. ინტერკოლეგიაზე მიიღება გადაწყვეტილებები სკოლის პედაგოგიური მუშაობის ძირითადი მიმართულების ცვლილებების შესახებ; პედაგოგიურ კოლეგიაზე იხილება სკოლაში მიმდინარე პედაგოგიური სამუშაოები, შეფასების შედეგები და სწავლების სხვა აქტუალური საკითხები, ხოლო თერაპევტთა კოლეგიაზე, რომლის შემადგენლობაში შედიან: არტ-თერაპევტი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, მასაჟისტი, მკურნალი ევრითმისტი, ექიმი და სენსომოტორიკის თერაპევტები, განიხილება ბავშვის განვითარების დინამიკა პედაგოგიური კოლეგიის ანალიზზე დაყრდნობით და მიიღება გადაწყვეტილებები ბავშვის განვითარებისთვის საჭირო თერაპიების დანიშვნის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მოსწავლის ინდივიდუალური გეგმის ნიმუში, კალენდარული გეგმის ნიმუში, კვირის სამუშაო გეგმის ფორმა, მოსწავლის განვითარების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დინამიკის დაკვირვების ცხრილი, შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმა, სკოლის სტრუქტურა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	პედაგოგიური კოლეგიის სხდომის (2010 წ. 9 სექემბერი) ოქმის ამონაწერის თანახმად, სკოლაში V-IX კლასებში მოსწავლეები ფასდებიან განმსაზღვრელი შეფასებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ხოლო I-V კლასებში განმავითარებელი შეფასებით. სასურველია, სკოლამ გაითვალისწინოს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და დააზუსტოს, რომ განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები უნდა შეფასდნენ მეხუთე კლასის მეორე სემესტიდან. ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი, როგორ ხდება სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ესგ-ს მოთხოვნები (ესგ, მუხლი 43.). სკოლას აქვს შემუშავებული მოსწავლის შეფასების ფორმა, მოსწავლის განვითარების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დინამიკის დაკვირვების ცხრილი, შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმა, რომლებსაც, როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან გაირკვა, აქტიურად იყენებენ კოლეგიებსა და სამუშაო შეხვედრებზე საკითხების განხილვისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო სასწავლო გეგმის საქაღალდე, მოსწავლის განვითარების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დინამიკის დაკვირვების ცხრილი, ინტერვიუ მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	როგორც სკოლის დებულებაში, ისე შინაგანაწესში მკაფიოდ არის განსაზღვრული მოსწავლის მშობელთან (კანონიერ წარმომადგენელთან) სკოლის ურთიერთობის ფორმები. სკოლაში მიღებისას თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრსა და მოსწავლის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) შორის იდება წერილობითი ხელშეკრულება, რომლის მიხედვით სხვა ვალდებულებათა შორის სკოლა იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია ბავშვის მიღწევების და საჭიროებების შესახებ. სკოლაში მოქმედებს მშობელთა კომიტეტი, რომელიც იკრიბება თვეში ერთხელ და მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ის სკოლას სთავაზობს წინადადებებს, აცნობს საკუთარ სურვილებს. ინდივიდუალურად მუშაობენ მშობლებთან საგნების პედაგოგები, რომლებიც ყოველი კვირის ბოლოს აწვდიან მშობლებს ინფორმაციას მოსწავლის განვითარების, აკადემიური მოსწრების, პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ დაბეჭდილი საინფორმაციო ბიულეტენის სახით. ინფორმაციის გარდა, ეს საინფორმაციო ბიულეტენები შეიცავს რეკომენდაციებსაც მშობელთათვის. სკოლა გამოსცემს ყოველკვარტალურ ჟურნალ „მზის ბილიკს," რომელშიც საინტერესო მასალები იბეჭდება მშობელთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. სკოლაში არის სოციალური ქსელების აქტიურად გამოყენების პრაქტიკაც. მშობლები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ღონისძიებებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	დებულება, შინაგანაწესი, ინტერვიუები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
აღწერა	სკოლას არ წარმოუდგენია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი ცალკე დოკუმენტად, თუმცა აქვს სკოლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ის საქმიანობები, რომლებსაც ის განახორციელებს ამ მიმართულებით. ვიზიტის დროს ვნახეთ მშობელთა ანკეტირების შევსებული ფორმები, გაკვეთილზე დაკვირვების ცხრილები. სწორედ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიმებს შორის ერთ-ერთი სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულების მონიტორინგია. ამავდროულად, სკოლაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოქმედებს ინტერკოლეგია, პედაგოგიური კოლეგია და თერაპევტების კოლეგია, რომლებიც წლის ბოლოს წარმოადგენენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ანალიზს, ადგენენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს სასკოლო სასწავლო გეგმის გასაუმჯობესებლად. სასკოლო სასწავლო გეგმა ფასდება განვლილი სასწავლო წლის შედეგების, მოსწავლის განვითარების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დინამიკის დაკვირვების ცხრილების მონაცემების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, კოლეგიების ოქმები, მოსწავლის განვითარების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური დინამიკის დაკვირვების ცხრილი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	• ერთმანეთს არ ემთხვევა სკოლის მიერ წარმოდგენილი დღის რეჟიმი და გაკვეთილების ცხრილი. როგორც სკოლის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუში გაირკვა, წარმოდგენილი დღის რეჟიმი შემუშავებულია პანდემიის პირობების გათვალისწინებით, თუმცა ასევე უნდა იყოს ამ პირობებთან მისადაგებული გაკვეთილების შეცვლილი ცხრილიც. • სასკოლო სასწავლო გეგმის ერთიან დოკუმენტად აღქმისათვის საჭიროა საქაღალდეში მოქცეული ყველა დოკუმენტის თავმოყრა და ერთიან ნარატიულ / აღწერით სტრუქტურირებულ ფორმაში მოქცევა. • გასაახლებელია შეფასების პრინციპების დოკუმენტი. სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ესგ-ს მოთხოვნები (ესგ, მუხლი 43.).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	ფიზიკის საგნის ადაპტირებული შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია სკოლის საათობრივ ბადეში საგნისათვის სხვა სახელწოდების მოფიქრება.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი ფლობს 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს მისამართზე თბილისი, მ. ლებანიძის ქ. №10 (ყოფილი ბორჯომის ქუჩა), როგორც საჯარო რეესტრის ამონაწერშია მითითებული, ნაკვეთზე განთავსებულია ხუთი შენობა, ერთი, სამსართულიანი შენობა მანსარდით განკუთვნილია სკოლისათვის. მისი ფართობი შეადგენს 894 კვ.მ-ს. სკოლის პირველ სართულზე მდებარეობს ერთი საკლასო ოთახი, სასადილო, დარბაზი, რომელიც ერთდროულად თეატრალურ და სპორტდარბაზის ფუნქციასაც ასრულებს. მეორე სართულზე მდებარეობს 4 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, მოზაიკისა და ხელგარჯილობის ოთახები და თოჯინების თეატრი, ექიმის კაბინეტი და მასაჟისტის ოთახი. მესამე სართულზე 3 საკლასო ოთახია (საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის), ასევე არტთერაპიისა და ევრითმიის ოთახები. მეორე შენობაში განთავსებულია საამკინძავო სახელოსნო, სამკერვალო, სენსო-მოტორიკის ოთახი, ფსიქოლოგის ოთახი და ოთახი ინდივიდუალური მუშაობისათვის. მესამე შენობაში განთავსებულია საცხობი, ხოლო მეოთხეში - ხის სახელოსნო, მეხუთე კი საწყობის ფუნქციას ასრულებს.
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, მ. ლებანიძის ქუჩა №10 (ყოფილი ბორჯომის ქუჩა)
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.13.07.023.005

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

კვ.მ.	2000
მტკიცებულებები/ინდიკატორები	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, გენერალური გეგმა
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში სულ 8 საკლასო ოთახია, რომლებშიც განთავსებულია 26 ორადგილიანი და 12 ერთადგილიანი მერხი, ერთიც ერთადგილიანი ადაპტირებული მერხი და 100 სკამი, რომელთა შორის მხოლოდ 11-ია სტანდარტული. სკოლამ წარმოადგინა 5 ერთადგილიანი მერხისა და ამავე რაოდენობის სკამების შეძენის დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადები, რომელიც დათარიღებულია 02/07/2021-ით. შეძენილი საქონელი, როგორც სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, დასაწყობებულია. ასევე სკოლამ წარმოადგინა ფირმა „გოდოლთან“ 8 ერთეული ერთადგილიანი და 16 ერთეული ორადგილიანი მერხის დამზადების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც დათარიღებულია 01.06.2006 წლით. ორადგილიანი მერხების აუცილებლობა სკოლის ხელმძღვანელმა ახსნა მოსწავლეთა განსაკუთრებული საჭიროებებით, რის დაშვების საფუძველსაც ქმნის 2018-2024 წლების ესგ-ში არსებული ჩანაწერი გარემო პირობების აკომოდაციასთან დაკავშირებით (ესგ, მუხლი 41, პუნქტი 6 ბ). მიუხედავად ამისა, სკოლაში ვერ ვნახეთ 100 მოსწავლისათვის საკმარისი მერხების რაოდენობა (სკოლას სწორედ ეს რაოდენობა აქვს საავტორიზაციო განაცხადში მითითებული). სკოლის ხელმძღვანელმა გვითხრა და წინა ავტორიზაციის დასკვნაშიც არის მითითიებული, რომ სკოლას 60 ორადგილიანი მერხი აქვს, მაგრამ ვიზუალური დათვალიერებით კლასებში ორადგილიანი მერხების ეს რაოდენობა ვერ ვნახეთ. როგორც სკოლის დირექტორმა ონლაინჩართვის დროს განაცხადა, მერხების ნაწილი დასაწყობებულია, ნაწილი კი სხვადასხვა დანიშნულების ოთახებშია გადანაწილებული. გვინდოდა მერხების შესყიდვის დოკუმენტაცია გვენახა, მაგრამ სკოლამ ვერც ეს წარმოგვიდგინა იმ მიზეზით, რომ ბუღალტერი შვებულებაშია და ყველა ფინანსური საბუთი, მათ შორის ინვენტარიზაციის ოქმი, მასთან ინახებაო. გასათვალისწინებელია ის, რომ სკოლა პანდემიის პირობებში ორ ცვლაში მუშაობს და თანაც ერთი კლასი (მეოთხე) მოსწავლის გადასვლის გამო დაიხურა. ამდენად, 8 საკლასო ოთახი ამ ეტაპზე საკმარისია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, თუმცა მომავალში სკოლამ უნდა იზრუნოს საკლასო ფართის გამოყოფაზე, რის შესაძლებლობაც მას აქვს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება, სასაქონლო ზედნადები, ხელშეკრულება.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს დარბაზი, რომელიც იმავდროულად თეატრის დარბაზის ფუნქციასაც ასრულებს. დარბაზში არის კალათბურთის ფარი, შესასვლელში დგას კარადა სპორტული ინვენტარისათვის. აქ არის ბადმინტონის ჩოგნები, ფრენბურთის ბადე და ბურთი, კალათბურთის და ფეხბურთის ბურთები, პატარა ბატუტი, სახტუნაოები, ბაგირი ჯგუფური თამაშებისთვის და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას არ აქვს ოთახი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის, თუმცა სამასწავლებლოში ინახება მინი ლაბორატორიები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. ლაბორატორიები სხვადასხვა საბუნებისმეტყველო საგნებისათვის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) შეძენილია 2010 წლის 2 დეკემბერს შპს „იუჯი წიგნებისაგან“. ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ თემიდან გამომდინარე, მასწავლებლები კლასებში ატარებენ მარტივი ტიპის ექსპერიმენტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შესყიდვის დოკუმენტაცია, ვიზუალური დათვალიერება, ინტერვიუები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შექმნილია საგანმანათლებლო და თერაპიული პროცესების წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდება (საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს მძლავრი ელექტროგენერატორი), ცენტრალური გათბობა. ყველა კლასში ბუნებრივი განათებაა. ყველა სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები: I სართულზე - საპირფარეშო ვაჟებისათვის 2 კაბინითა და 2 ხელსაბანით, საშხაპე 4 ხელსაბანით; II სართულზე - საპირფარეშო გოგონებისათვის 2 ხელსაბანით და საპირფარეშო მასწავლებლებისათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	III სართულზე - საპირფარეშო ვაჟბისათვის 2 ხელსაბანით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს მანსარდაში. აქ არ არის პანდუსი, არც მისი დამონტაჟების საშუალებაა, მაგრამ, როგორც სკოლის წარმომადგენელმა განგვიმარტა, მოსწავლეებს საჭირო ლიტერატურა მიეწოდებათ კლასებში. წიგნადი ფონდი შეადგენს 200-მდე ეგზემპლარს, მათ შორის არის სასკოლო სახელმძღვანელოების 2-2 ეგზემპლარი. წიგნები აღრიცხულია ელექტრონულად. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი, რომელიც ვიზიტის დროს არ იყო ინტერნეტქსელში ჩართული, რადგან მანსარდაში ბიბლიოთეკის გადატანა მოხდა სასწავლო წლის ბოლოს. სკოლას აქვს შემუშავებული ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, მაგრამ ვიზიტის დროს წესები და სამუშაო საათები არ იყო გამოკრული ზემოთ აღნიშნული მიზეზიდან გამომდინარე (მანსარდაში ბიბლიოთეკის გადმოტანა და ხელახალი მოწყობა). მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ შექმნა მედიათეკა, რომლითაც ხელმძღვანელობენ პედაგოგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ბიბლიოთეკის დებულება, ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარემო სწორედ სსსმ და შშმ მოსწავლეებზეა სრულად ადაპტირებული. არის ფართო პანდუსები, ხის მოაჯირები დერეფნებსა და კლასებში, ადაპტირებული საპირფარეშოები, სკოლაში არის ეტლები და გადაადგილებისთვის საჭირო სხვა ინვენტარი. ასევე სკოლაში არის მასაჟის ოთახი, აბაზანა თერაპიული პროცედურებისათვის და ოთახები ინდივიდუალური მუშაობისთვის, სამკურნალო ევრითმიისა და არტთერაპიისთვის. ასევე სპეციალურად აღჭურვილი დარბაზი სენსოთერაპიისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება, ინვალიდის ეტლების ჩუქების აქტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის დროს სკოლაში იყო ორი ლეპტოპი და ერთი სტაციონარული კომპიუტერი ბიბლიოთეკაში, ასევე პროექტორი და დიდი ზომის ტელევიზორი. სკოლამ წარმოადგინა თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის განმარტებითი ბარათი, რომელშიც ნათქვამია, რომ ცენტრის ქონება, მათ შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (7 კომპიუტერი, ორი პროექტორი, 2 ტელევიზორი, 1 ფერადი და 3 შავ-თეთრი პრინტერი, 1 სკანერი) სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობისათვის განუსაზღვრელი ვადით. სკოლას ინტერნეტით უზრუნველყოფს სილქნეტი. სკოლას აქვს ვებგვერდი, რომლის მისამართია www.cfp.ge. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვებგვერდი www.cfp.ge, ვიზუალური დათვალიერება, განმარტებითი ბარათი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ყველა სართული აღჭურვილია ცეცხლმაქრებით. ცეცხლმაქრები რეგულარულად ახლდება, შენობაში ხის ზედაპირები დამუშავებულია სპეციალური სითხით, დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია, დერეფნებში არის გასასვლელების მანიშნებლები. უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ორგანიზაციებთან „უსაფრთხოება 2027“ და „უსაფრთხოება გარანტი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება, უსაფრთხოების დაცვის ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები..
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა,
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ემსახურება ექიმი. სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად სკოლაში არის ექიმის ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და მედიკამენტებით. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სასწრაფო დახმარების, სახანძროს და პატრულის სამსახურის ნომრები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	საშტატო განრიგი, ვიზუალური დათვალიერება,
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა, რომელიც ჯერჯერობით არ არის გაგზავნილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დროულად მიმართოს ამისათვის სამინისტროს. მოცემული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, სკოლაში შემუშავებულია კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ზოგადი რეკომენდაციებით განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა (COVID-19 ვირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით). ამ მიმართულებით ასევე შემუშავებულია საინფორმაციო ფურცელი მშობელთათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა, მშობელთა საინფორმაციო ფურცელი, კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ზოგადი რეკომენდაციებით განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	უსაფრთხოებისთვის სკოლის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია 3, ხოლო გარე პერიმეტრზე 5 ვიდეოკამერა. მიმდინარეობს 24-საათიანი ვიდეოკონტროლი. ჩანაწერი ინახება ერთი თვის განმავლობაში, შემდეგ კი გადადის ინფორმაციის გარე მატარებელზე. სკოლის ტერიტორია შემოფარგლულია მაღალი ღობით, ღობეს აქვს ჭიშკარი, რომელიც ისევე, როგორც შემოსასვლელი კარი, იკეტება საკეტითა და ბოქლომით. სკოლას ჰყავს დღისა და ღამის დარაჯი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება, საშტატო განრიგი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დებულება, რომელიც დამტკიცებულია თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის გამგეობის მიერ და შინაგანაწესი. დებულებაში გაწერილია სკოლის სტრუქტურა, სტრუქტურული და საშტატო ერთეულების ფუნქციები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები, სკოლაში ჩარიცხვისა და ამორიცხვის წესები, მასწავლებლების მიღების წესები და ა.შ. შინაგანაწესში ასახულია სკოლის პერსონალისათვის მოქმედი ეთიკური ნორმები, ქცევის წესები, სამუშაო და დასვენების დრო, წახალისების ფორმები, დისციპლინური პასუხისმგებლობა, მშობელთა ინფორმირების წესი, საჩივრის მიღებისა და განხილვის წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	დებულება, შინაგანაწესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას SWOT ანალიზის საფუძველზეც შემუშავებული აქვს განვითარების ექვსწლიანი გეგმა. ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენელს მიეთითა, რომ მათ მიერ გამოგზავნილ ექვსწლიან გეგმაში იყო მხოლოდ საკითხთა ჩამონათვალი, მაგრამ ვიზიტის დროს მათ წარმოადგინეს ექვსწლიანი გეგმა, რომელშიც მითითებულია როგორც შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალი, ისე ინფორმაცია პასუხისმგებელი პირების შესახებ. ვადები მითითებული არ არის. სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს ძირითადად მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და გაუმჯობესებას, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. არაფერია ნათქვამი პროგრამის განვითარებასა და დახვეწაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ერთწლიანი გეგმა ძირითადად ღონისძიებების ჩამონათვალია და არ არის ექვსწლიანი გეგმის ორგანული ნაწილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	SWOT ანალიზი, სკოლის ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში იწარმოება ჟურნალი შემოსული და გასული კორესპონდენციისათვის, ბრძანებების და აქტების აღრიცხვის ჟურნალები, შრომითი ხელშეკრულების აღრიცხვის ჟურნალი. სარეგისტრაციო ჟურნალების გვერდები დანომრილია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ჟურნალების ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	• სკოლამ იზრუნოს მეცხრე საკლასო ოთახისათვის ფართის გამოყოფაზე. • გადააგზავნოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა. • ერთწლიანი გეგმა ძირითადად ღონისძიებების ჩამონათვალია და არ არის ექვსწლიანი გეგმის ორგანული ნაწილი.
რჩევები:	
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლას აქვს შესაბამისი სასწავლო ბადე. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვაც შეესაბამება სასკოლო საათობრივ ბადეს. სკოლაში საშტატო განრიგით გათვალისწინებულია 14 მასწავლებელი (13,5 ერთ). მათგან 9 არის საგნის (რამდენიმე საგნის ერთდროულად) მასწავლებელი, ხოლო დანარჩენები ასწავლიან: შრომას (2), მუსიკას (1) , ევრითმიკას(1), ამჟამად სკოლას არ ჰყავს ფიზკულტურის პედაგოგი. სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლას სჭირდება სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალისტი. სექტემბრიდან მის ფუნქციას შეითავსებს მასაჟისტი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. სკოლას ჰყავს ადმინისტრაცია (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სასწავლო ნაწილის გამგე, ბუღალტერი) და ტექნიკური პერსონალი (დამლაგებელი, ორი დარაჯი და მზარეული). გარდა ამისა, სკოლას ჰყავს მულტიდისციპლინარული ჯგუფი (არტ-თერაპევტი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, მასაჟისტი, მკურნალი ევრითმისტი, ექიმი, ქიროფონეტიკის სპეციალისტი, სენსომოტორიკის სპეციალისტი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	პირად საქმეებში არსებული დოკუმენტები, საშტატო განრიგი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	14
მოწვეული/მაძიებელი	0
პრაქტიკოსი მასწავლებლი	14 (დღეს პრაქტიკოსის სტატუსი აღარ არსებობს, ამიტომ სტატუსის გარეშე).
უფროსი მასწავლებლი	0
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს 14 პედაგოგი. ყველა პედაგოგს აქვს გავლილი ორწლიანი კურსი, რომელიც აძლევს სპეც. პედაგოგად მუშაობის უფლებას. ამის დასტურად პირად საქმეებში დევს სერტიფიკატები. მათგან 7 გაცემულია პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტისა და თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის მიერ, 4 სერტიფიკატი გაცემულია თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის მიერ და აღიარებულია სამკურნალო პედაგოგიკისა და სოციალური თერაპიის საერთაშორისო საბჭოს მიერ. 2 სერტიფიკატი გაცემულია პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის მიერ, ხოლო ერთი - ჰუმანიტარული მეცნიერების უმაღლესი სკოლის (შვეიცარია) სამკურნალო პედაგოგიური და სოციალური თერაპიის საბჭოს სამედიცინო სექციისა და თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის მიერ. აღნიშნულ კურსებზე, გარდა სპეციალური საგნებისა, მასწავლებლები ეუფლებიან სკოლაში შეთავაზებული ყველა საგნის შინაარსსა და სწავლების მეთოდიკას (ცნობილი გახდა მასწავლებელთა ინტერვიუირების დროს). სკოლის სასწავლო პროგრამებიდან გამომდინარე , მასწავლებელთა უმრავლესობა ასწავლის რამდენიმე საგანს. არც ერთ მასწავლებელს არ აქვს სტატუსი და საგნობრივი კომპეტენციების დამადასტურებელი დოკუმენტი. მიმოწერიდან სკოლასა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის, ჩანს, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს მისაღებად მიაჩნდა მასწავლებელთა საქმიანობა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, ვიდრე არ იქნებოდა მიღებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი წესი. ამჟამად ექვსი მასწავლებელი არის დარეგისტრირებული სპეციალური მასწავლებლის კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაზე. დანარჩენები მომავალ წელს გეგმავენ გამოცდის ჩაბარებას სტატუსის მოპოვების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მასწავლებელს აქვს მიღებული მონაწილეობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ტრენინგებში შშმ ბავშვებთან მუშაობისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად. სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალსა და მულტიფუნქციურ ჯგუფს უდასტურდება კვალიფიკაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაცია - განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ინტერვიუ.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა და გაწერილია შინაგანაწესში. სკოლაში თანამშრომლების მიღება ხდება შიდა ან გარე კონკურსის გზით. პირად საქმეებში არ იძებნება წახალისების დამამტკიცებელი დოკუმენტები, თუმცა წახალისებები და ჯილდოები ასახულია ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	პირადი საქმეები, ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება. ცენტრში გადმოგზავნილი იყო ხელშეკრულების ფორმები და ორი თანამშრომლის ხელშეკრულება (თანამშრომლების თანხმობით), რომლებშიც დაშვებულია უზუსტობები: არ არის მითითებული შვებულების პირობები; არასწორად არის მითითებული კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯების დაფარვის აუცილებლობა დამლაგებლის ხელშეკრულებაში (მისი საკუთარი ნებით წასვლის შემთხვევაში). სპეცმასწავლებლის ხელშეკრულებაში პ.9 არის გაუგებარი: „ დამსაქმებელს აქვს უფლება არ აუნაზღაუროს დასაქმებულს შვებულების, არდადეგების, დეკრეტული შვებულების და ავადმყოფობის პერიოდში გაცდენილი საათების ღირებულება“. როგორც გაირკვა, ეს ხდება განსაკუთრებულ შემთხვევებში, ხანგრძლივი გაცდენების დროს. ხელშეკრულებები გაფორმებულია ყველა თანამშრომელთან. ხელშეკრულებებში უნდა მიეთითოს, რომ შიგაგანაწესი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. შიგაგანაწესში კი გაწერილია შვებულებისა და ანაზღაურების პირობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ხელშეკრულების ფორმები, ხელშეკრულებები, ინტერვიუ.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მექანიზმები. დიდი ყურადღება ექცევა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, რაც გამოიხატება მათ მონაწილეობაში ადგილობრივსა თუ საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებში. სკოლის ბაზაზე შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის ფუნქციებში შედის: პედაგოგთა პორტფოლიოს შეფასება, გაკვეთილზე დასწრება, ანალიზი და შეფასება, პედაგოგების კონსულტირება. აგრეთვე, სკოლის საჭიროებების გამოვლენა, სწავლების საერთაშორისო მეთოდებისა და სტრატეგიების დანერგვა. მასწავლებლები იკრიბებიან ყოველ ორშაბათს და მსჯელობენ სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მასწავლებლების მიერ მიღებული სერტიფიკატები. ინტერვიუ, შეხვედრების ოქმები, გაკვეთილზე დასწრების ამსახველი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მასწავლებლები ინდივიდუალურად მუშაობენ მშობლებთან, რათა მათ შეძლონ შვილებისთვის დახმარების გაწევა. სკოლაში ეწყობა წარმოდგენები მშობლების მონაწილეობით. მშობლებისთვის გამოიცემა ჟურნალი „მზის ბილიკი“. აღსანიშნავია მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	გასაუბრება სკოლის თანამშრომლებთან. მშობლების მიერ შევსებული კითხვარები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	დებულებაში, ხელშეკრულებასა და საშტატო განრიგში გამოყენეული იქნას ერთი ტერმინი (დირექტორის მოადგილე ან მენეჯერი). ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები აძლევს სპეცმასწავლებელს საშუალებას, გამოცდის ჩაბარების შედეგად, მიიღოს სტატუსი. სკოლამ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მასწავლებლებს გამოცდის ჩაბარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოხდეს შინაგანაწესზე რეფერირება ხელშეკრულებებში. განიმარტოს პუნქტი „ დამსაქმებელს აქვს უფლება არ აუნაზღაუროს დასაქმებულს შვებულების, არდადეგების, დეკრეტული შვებულების და ავადმყოფობის პერიოდში გაცდენილი საათების ღირებულება“. ამოღებულ იქნას დამლაგებლის ხელშკრულებიდან წინადადება კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯების დაფარვის აუცილებლობის შესახებ სკოლიდან მისი საკუთარი ნებით წასვლის შემთხვევაში.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

1. მერხების შესყიდვის დოკუმენტი - სასაქონლო ზედნადები (1 გვერდი).
2. ხელშეკრულება ავეჯის დამზადების შესახებ და მიღება-ჩაბარების აქტი (5 გვერდი).
3. თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის წერილი (3 გვერდი)

გვერდების რაოდენობა - სულ 9 გვერდი

თარიღი: 16.08. 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.